სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება # 09

მომსახურების შესყიდვა

ქ. ზესტაფონი 2022 წელი

ერთის მხრივAaaip ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება, შემდგომში ,,შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი მმათველის ზოია ლელაძის სახით და მეორეს მხრივ შპს. ,,ჰიგია" წარმოდგენილი მისი დირექტორისციცინო გურეშიძის სახით შემდგომში ,,მიმწოდებელი" ორივე ერთად წოდებული როგორც ,,მხარეები", ვმოქმედებთ, რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]"ქვეპუნქტის და ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების" უფროსი სპეციალისტის ნანა მუმლაძის 2022 წლის 23 თებერვლის N63 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში _ ,,ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,momsaxureba" _ წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV 71900000 ლაბორატორიული მომსახურებების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ზღვრების შესაბამისად სასმელი წყლის (ლაბორატორიული) მიკრობიოლოგიური გამოკვლევის ჩატარებაAა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების 36 სტრუქტურულ ერთეულში, ორ ეტაპად, ერთი ეტაპის ღირებულება თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში არის 65 (სამოცდახუთი) ლარი

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4680 (ოთხიათასექვსასოთხმოცი)ლარს.

პირველი ეტაპის საერთო ღირებულებაა 2340 (ორიათასსამასორმოცი) ლარი

მეორე ეტაპის საერთო ღირებულებაა 2340 (ორიათასსამასორმოცი) ლარი

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

3.3 ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მომსახურების ღირებულება გამოითვლება დეფექტური აქტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერენ გაერთიანების თანამშრომლები.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

35-ვე სტრუქტურულ ერთეულში სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური გამოკვლევა ჩაატაროს ორ ეტაპად წლის განმავლობაში:

პირველი ეტაპი -2022 წლის 01 მარტიდან 2022 წლის 01 აპრილამდე.

მეორე ეტაპი 2022 წლის 01 სექტემბრიდან 2022 წლის 01 ოქტომბრამდე.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნიდან 2 დღეში;

გ) მომსახურების პარალელურად, "მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისათვის"(საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

4. 2.შემსყიდველი ვალდებულია:

ა)წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

5. ხარისხი

5.1 მომწოდებელი ვალდებულია, გაუწიოს ხარისხიანი მომსახურება და შემსყიდველის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში მოახდინოს წუნის გამოსწორება.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 გაწეული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

6.2 მომსახურება შესრულებულად ცაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება 2022 წლის სახსრებიდან შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის(ხელშეკრულების შეწყვეტა)

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, ვალდებულებების ვადაგადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით,

9.2 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა)ერთერთი მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების შესაბამისად ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე.

9.2.1 ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

ბ) პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

გ) მიმწოდებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს ,შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს აღნიშნული თანხა და პიდაპირ მიმართოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

დ)შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

ე)მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

9.3 მიმწოდებელი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში გადაიხდის ჯარიმას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20(ოცი)%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან ამისთვის სპეციალურად Seqmnili inspeqtirebis jgufi.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ორივე მხარის მიერ ელექტრონულად ხელმოწერიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი										მიმწოდებელი											
ს/კ	2	3	0	0	9	1	4	1	4	ს/კ	2	2	1	2	9	3	2	5	9		

დასახელებაა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება

მისამართი ქ.ზესტაფონი წერეთლის ქ#11

სახელმწიფო ხაზინა

ხაზინის ერთიანი ანგარიში 3001900000

გაერთიანების მმართველი

NNLE Association of Preschool Institutions of Zestaponi Municipality

Digitally signed by NNLE Association of Preschool Institutions of Zestaponi Municipality
Date: 2022.02.28 16:32:01 +04'00'

დასახელება შ.პ.ს. ,,ჰიგია“

მისამართი: წყალტუბო, ერისთავის ქ., №16

ბანკი ს/ს ,,საქართველოს ბანკი”

kodi: BAGAGE22

ანგარიშის GE79BG0000000298681400

დირექტორი

Tsitsino Guresh idze

Digitally signed by Tsitsino Gureshidze
Date: 2022.02.25 16:34:05 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

2022 წლის

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელშეკრულების შესრულების კონტროლის ინსპექტირების ჯგუფი ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის ე) ქვეპუნქტის თანახმად არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების 36 სტრუქტურულ ერთეულში, ორ ეტაპად, სასმელი წყლის (ლაბორატორიული) მიკრობიოლოგიური გამოკვლევის ჩატარების მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებაზე მოწვეულ მიმწოდებელთან შპს „ჰიგია"

ინსპექტირების ჯგუფი:

1. ლარისა ნებიერიძე – (კომისიის თავმჯდომარე)
2. ლია ბერაძე- (კომისიის წევრი)
3. იათამზე ვარდუკაძე-(კომისიის წევრი)
4. მარეხი მაღლაკელიძე-(კომისიის წევრი)
5. ციური მაღლაკელიძე-(კომისიის წევრი)
6. დარეჯან ბახტაძე-(კომისიის წევრი)